საქართველოს პარლამენტი

2024 წლის II კვარტლის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
აგვისტო

2024 წლის II კვარტლის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

9.5%

II კვარტალი

2024 წლის II კვარტალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **1.9%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **1.8%**-ით განისაზღვრა.

II კვარტალში საქონლის ექსპორტი **4.4%**-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი **1.9%**-ით გაიზარდა.



II კვარტალში ფულადმა გზავნილებმა **843.9** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **42.3%;**
რუსეთი - **17.3%;**
აშშ - **16.7%;**
სხვა ქვეყნები - **23.7%.**

II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.

ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით **2.5%**-ით, ხოლო **2023** წლის II კვარტალთან მიმართებით **6.6%**-ით გაუფასურდა.

1. რეალური სექტორი



<u>სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის II კვარტალში მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 9.5% შეადგინა.</u>

საბიუჯეტო ოფისის მიერ 2024 წლის მაისში მომზადებული მეორე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება 7.6%[1]-ით განისაზღვრა, რაც საქართველოს ეკონომიკაზე ქვეყანაში არსებულ როგორც ინფლაციის დაბალ მაჩვენებლებს, ასევე რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მდგომარეობის გავლენას ითვალისწინებდა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2024 წლის II კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შეფასებულ წინასწარ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაპი იყო დადებითი და 1.4%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი დადებითი (0.8%) იყო.



<u>საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2024 წლის I* კვარტალში მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მოხმარების ზრდას ჰქონდა.</u>

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2024 წლის I*კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპში დადებითი წვლილი მოხმარების (17.43 პპ) კომპონენტმა შეიტანა. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე ინვესტიციებს (-5.77 პპ), ექსპორტს (-2.02 პპ) და იმპორტს (-1.25 პპ) ჰქონდა.



<u>2024 წლის I* კვარტალში მშპ-ის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა.</u>

2024 წლის I* კვარტალში მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი[2] საბითუმო და საცალო ვაჭრობას ჰქონდა (9.9%). ასევე მნიშვნელოვანი წილითაა წარმოდგენილი უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (8.1%), დამამუშავებელი მრეწველობა (6.8%), მშენებლობა (5.5%), სახელმწიფო მმართველობა, თავდაცვა, სოციალური უსაფრთხოება (6.1%), განათლება (4.8%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (4.4%) და ინფორმაცია და კომუნიკაცია (4.3%).

[1] <u>www.pbo.parliament.ge</u>

[2] წილი დათვლილია მშპ-ში მიმდინარე ფასებით



<u>თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.</u>

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[3] ზრდის ტემპმა 8.1% შეადგინა. 2023 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 6.9% იყო.



[3] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით

<u>2024 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია ზრდის ტენდენციას ავლენს.</u>

2024 წლის II კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 1.9% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. ინფლაციის ზრდის ტემპზე გავლენა იქონია, ძირითადად, ტრანსპორტზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე და სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.

2024 წლის II კვარტალში საბაზო ინფლაციამ (სურსათისა და ენერგომატარებლების ფასების გამორიცხვით, რომლებიც მაღალი მერყეობით გამოირჩევიან) 1.8% შეადგინა.

2. ფისკალური სექტორი



<u>2024 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

2024 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 13.0%-ით გაიზარდა და 6,555.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა 14.1%-ით განისაზღვრა და 6,638.6 მლნ ლარს გაუტოლდა.

2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 74.4 მლნ ლარით გაიზარდა და 1,366.3 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 23.9 მლნ ლარით განისაზღვრა. შედარებისათვის, წინა წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო 77.4 მლნ ლარს შეადგენდა.





<u>2024 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 17.7%-ით გაიზარდა და 5,766.2 მლნ ლარით განისაზღვრა.</u>

2024 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 23.0%-ით გაიზარდა და 2,842.4 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 12.9%-ით მოიმატა და 2,923.8 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი შემცირდა 10.1%-ით და 27.6 მლნ ლარით განისაზღვრა, ხოლო სხვა შემოსავლებმა 12.3%-ით მოიკლო, რამაც 761.2 მლნ ლარი შეადგინა.

<u>2024 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, როგორც მიმდინარე ხარჯები, ასევე არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები ზრდის ტენდენციას ავლენს.</u>

2024 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 5,188.7 მლნ ლარს შეადგენს, ანუ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 15.1%-ით მეტს. არაფინანსური აქტივების მაჩვენებელი 1,449.9 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 38.8%-ით აჭარბებს. აღნიშნულ პერიოდში 3.2%-ით არის გაზრდილი ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც 737.3 მლნ ლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურებაზე ხარჯებმა 778.2 მლნ ლარი შეადგინა (მოიმატა 21.2%-ით), ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებმა - 2,008.7 მლნ ლარი (მოიმატა 15.0%-ით). დანარჩენი ხარჯები (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა ხარჯები) 18.5%-ით გაიზარდა და 1,664.5 მლნ ლარით განისაზღვრა.



2024 წლის II კვარტლის ბოლოს (30 ივნისის მდგომარეობით) სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 33,440 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 11.3%-ით მეტია.

2024 წლის II კვარტლის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 73.1%-ს შეადგენს (2023 წლის II კვარტლის ბოლოს - 74.1%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 26.9%-ს (2023 წლის II კვარტლის ბოლოს - 25.9%).



3. საგარეო სექტორი



2024 წლის I* კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2024 წლის I* კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 351.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5.5%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი 5.0%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლით სავაჭრო ბალანსის და წმინდა შემოსავლების დეფიციტს მიმდინარე ტრანსფერტებისა და მომსახურების დადებითი სალდო ნაწილობრივ ფარავს, საიდანაც აღსანიშნავია საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების დადებითი გავლენა. წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2024 წლის I კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 1.5%-ით გაიზარდა და 807.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.





<u>2024 წლის I* კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პირდაპირი და სხვა უცხოური ინვესტიციები წარმოადგენდა.</u>

აღნიშნულ პერიოდში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 71.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 1.0%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 84.3%-ით ნაკლებია.



<u>2024 წლის II კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 4,581.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

2024 წლის II კვარტლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 4,581.0 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.6%-ით ნაკლები.

2024 წლის II კვარტალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის გაუფასურების საპასუხოდ სავალუტო აუქციონზე 168.7 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

საქონლით საგარეო ვაჭრობა
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2024 წლის II კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის კლების, ხოლო იმპორტის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.</u>

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2024 წლის II კვარტალში საქონლის ექსპორტი 4.4%-ით შემცირდა და 1,521.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 1.9%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 3,971.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 27.7%-ით განისაზღვრა. 2024 წლის I-II კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა მსუბუქი ავტომობილები (32.8% ექსპორტის მთლიან მოცულობაში), ნატურალური ღვინო (5.5%), ფეროშენადნობები (5.0%), სპირტიანი სასმელები (4.7%), ძვირფასი ლითონები (3.6%), მინერალური და მტკნარი წყლები (2.8%) და სხვა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(I-II კვარტალი)



საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები და შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან



<u>2024 წლის IIკვარტალში, გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა.</u>

2024 წლის II კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 1,720,516 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.2%-ით მეტია. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც II კვარტალში 1,530,580 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 4.6%-ს). აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა თურქეთიდან (369,395; ზრდა წინა წლის II კვარტალთან 0.9%), რუსეთიდან (312,051; კლება 2.7%), სომხეთიდან (195,861; კლება 8.7%),

2024 წლის IIკვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 1,090.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 8.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



2024 წლის II კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები შემცირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2024 წლის II კვარტალში საქართველოში ფულადი გზავნილები 24.5%-ით შემცირდა და 843.9 მლნ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 42.3%) და რუსეთი (17.3%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ყირგიზეთიდან (31.0%), ირლანდიიდან (30.7%), აშშ-დან (25.8%), პოლონეთიდან (14.2%), ისრაელიდან (12.1%), გერმანიიდან (9.9%), ესპანეთიდან (8.6%) და სხვა.

ფულადი გზავნილები შემცირდა რუსეთიდან (67.3%), ყაზახეთიდან (39.7%), თურქეთიდან (29.0%) და სხვა.



4. მონეტარული სექტორი



2024 წლის II კვარტალში მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთმა 8.0% შეადგინა.

2024 წლის პირველ კვარტალში არსებული დაბალი ინფლაციის პასუხად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შერბილება დაიწყო. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2024 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5 პპ-ით შეამცირა და 9.0% შეადგინა, 13 მარტის გადაწყვეტილებით კი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.75 პპ-ით შემცირდა და 8.25% დაფიქსირდა. 22 მაისის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი კვლავ 0.25 პპ-ით შემცირდა და 8.00%-ზე დაფიქსირდა, რაც არ შეცვლილა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 19 ივნისის გადაწყვეტილებით.

აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკის მაღალი განაკვეთი დაფიქსირდა 2023 წლის პირველ ორ კვარტალში, რაც გაზრდილი ინფლაციის მაჩვენებელზე ეროვნული ბანკის საპასუხო რეაქციას წარმოადგენდა. კერძოდ, 2023 წლის 1 თებერვლისა და 29 მარტის გადაწყვეტილებებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელი (11.0%) დარჩა.2023 წლის 10 მაისს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 10.5% შეადგინა. მომდევნო პერიოდში განაკვეთი ეტაპობრივად 0.25%-ული პუნქტით მცირდებოდა და 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით 10.0% დაფიქსირდა, 25 ოქტომბერს უცვლელი დარჩა, ხოლო 20 დეკემბერს 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 9.5% შეადგინა.



2024 წლის II კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 12.9%-ს შეადგენდა.

2024 წლის II კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.49 პპ-ით შემცირდა და 12.9%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 14.7% შეადგინა (0.78 პპ-ით ნაკლები), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 8.9% (0.3 პპ-ით მეტი).



2024 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით გაუფასურდა, თურქული ლირისა და უკრაინული გრივნის გარდა.

2024 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ 2.5%-ით, ხოლო 2023 წლის II კვარტალთან მიმართებით 6.6%-ით გაუფასურდა. 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, ლარი გაუფასურდა ევროსთან (5.5%-ით), აზერბაიჯანულ მანათთან (6.5%-ით) და სომხურ დრამთან (6.1%-ით), ხოლო გამყარდა შემდეგ ვალუტებთან მიმართებით: თურქულ ლირასთან (46.4%-ით), რუსულ რუბლთან (4.6%-ით) და უკრაინულ გრივნასთან (0.8%-ით).



2024 წლის II კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2024 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 20.7%-ით მოიმატა და 55,474 მლნ ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (53.2%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, საანალიზო პერიოდის ბოლოს, ყველაზე მეტი - 21.1% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.8% - მშენებლობის, 17.7% - მრეწველობის, 13.3% - უძრავი ქონებით ოპერაციების და 7.2% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.

სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით
(ნაკადები)



დოლარიზაცია
(%)



<u>2024 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე მცირედით გაიზარდა.</u>

2024 წლის II კვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 46.7% შეადგინა, ანუ წინა კვარტალთან შედარებით 0.5 პპ-ით მეტი, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1.9 პპ-ით ნაკლები. სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი 45.1%-ით განისაზღვრა, რაც წინა კვარტალთან მიმართებით 0.4 პპ-ით, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.1 პპ-ით მეტია.

რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, 2023 წლის I კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 50.8% შეადგინა, სესხებზე დოლარიზაციის მონაცემი კი 44.4%-ით განისაზღვრა. II კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი 48.6%-ს, სესხებზე კი 45.0%-ს გაუტოლდა. IIIკვარტალში დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 48.1% შეადგინა, სესხებზე კი დოლარიზაციის მონაცემი 44.8%-ით განისაზღვრა. IV კვარტალში დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 47.0%, ხოლო სესხებზე 45.1% შეადგინა.

5. სოციალური სფერო

2024 წლის II კვარტალში, წინა წლის II კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე და განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები გაიზარდა.

2024 წლის IIკვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 648.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 16.6%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები 468.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.9%-ით მეტი.

სამუშაო ძალის მაჩვენებლები
(ათასი კაცი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე
(მლნ ლარი)



2024 წლის I* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო უმუშევართა რაოდენობა შემცირდა.

2024 წლის I* კვარტალში სამუშაო ძალამ 1,630.5 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5.1%-ით აღემატება. მათ შორის, დასაქმებულთა რაოდენობა 1,401.9 ათასი კაცით განისაზღვრა (10.2%-ით მეტი წინა წლის მაჩვენებელზე). დაქირავებულთა წილი მთლიან დასაქმებულთა რაოდენობაში 68.0%-ია, თვითდასაქმებულთა წილი კი - 32.0%. რაც შეეხება უმუშევართა რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 228.6 ათასი კაცს შეადგენდა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.1%-ით ნაკლებს.

აღსანიშნავია, რომ დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი I* კვარტალში 1,943.4 ლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.2%-ით აღემატება.

საანალიზო პერიოდში უმუშევრობის დონემ 14.0% შეადგინა (4.0 პპ-ით ნაკლები წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით).

<u>2024 წლის I* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება ზრდის ტენდენციას ავლენს.</u>

2024 წლის I*კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 749.4 ათასი კაცი შეადგინა (მათ შორის, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა - 703.2 ათასი კაცი), რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4.6%-ით მეტია. რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებას, აღნიშნული მაჩვენებელი საანალიზო პერიოდში 1,985.4 ლარით განისაზღვრა, ანუ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.9%-ით (226.3 ლარით) მეტი.

ბიზნეს სექტორში დასაქმება (ათასი კაცი) და ხელფასები (ლარი)



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები) შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი